თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 3 თებერვალი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. სერგი ჯიხვაშვილი, 4. შალვა ჭანკვეტაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. ლაშა გურგენიძე, 7. ნოდარი ხოხიაშვილი, 8. გიორგი ბერკაშვილი, 9. ზურაბ ჩხიკვაძე, 10. სოსო ჩაფიჩაძე, 11.იუზა უგრეხელიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. მირზა აფრიდონიძე.

კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული(საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.43.138 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282603361, 02.02.2026 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმარტიული ფასის დადგენის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282603367, 02.02.2026 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული(საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.43.138 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 23 იანვრის №15/2917 წერილით გადმოიგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №230/01 წერილი, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომლითაც დასმულია საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 33.09.43.138) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისა და შემდგომში შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის კაპიტალში შეტანის შესახებ. ვინაიდან პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, მერია თანახმაა აღნიშნული უძრავი ქონება გადასცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული(საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.09.43.138 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ .

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმარტიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმარტიული ფასის დადგენის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე